ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6717514

ნომერი: AR1995389

თარიღი : 16.10.2023

გაცემის თარიღი : 19.10.2023

გაცნობის თარიღი : 20.10.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება აეროდრომი , I ქუჩა I გასას.N3 ; ქალაქი თბილისი , დასახლება აეროდრომი I , გასასვლელი I , N 1 ; ქალაქი თბილისი , ზურაბ ჩაჩუას I გასასვლელი , N1ა ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ზურაბ ჩაჩუა , გასასვლელი I , N 1ბ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბესიკ გაბათაშვილი პ/ნ 12001058133
- გარდაბანი ს. დიდი ლილო

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 სექტემბრის №6684526 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 16 ოქტომბერს №AR1995389 განაცხადით მომართა ბესიკ გაბათაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2023 წლის 29 სექტემბრის №6684526 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 29 სექტემბრის №6684526 ბრძანებით №01.19.36.001.496 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, სამსახურის 2023 წლის 08 აგვისტოს №6604370 ბრძანებით შეთანხმებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 29 სექტემბრიდან 2026 წლის 29 სექტემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად. აღნიშნულ ბრძანებაში დამკვეთებად დაფიქსირდნენ გია ბახურაული, გია მაკაროვი. ვლადიმერ ბეკარაშვილი, ია მამისეიშვილი და ლია მამისეიშვილი.
წინამდებარე განაცხადით, საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ცვლილების გამო მოთხოვნილია სამსახურის 2023 წლის 29 სექტემბრის №6684526 ბრძანებაში ცვლილების შეტანა და დამკვეთად გია ბახურაულის, გია მაკაროვის, ვლადიმერ ბეკარაშვილის, ია მამისეიშვილის და ლია მამისეიშვილის ნაცვლად შპს „იქს-სტილი+“-ის (ს/ნ: 406170361) დაფიქსირება.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია – №892023067000, მომზადების თარიღი: 06/10/2023 წ.) თანახმად, №01.19.36.001.496 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი, დღევანდელი მდგომარეობით, წარმოადგენს შპს „იქს-სტილი+“-ის (ს/ნ: 406170361) საკუთრებას.
მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B23075117; მომზადების თარიღი: 30/05/2023 წ.) შპს „იქს-სტილი+“-ის (ს/ნ: 406170361) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს - რამაზი გუგუნაშვილი (პ/ნ: 12001036838). სამსახურში წარმოდგენილია რამაზი გუგუნაშვილის მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული მინდობილობა (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: 231443238, რეგისტრაციის თარიღი: 16.10.2023 წ.) შესაბამისად, განმცხადებლის უფლებამოსილება დგინდება.
საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 97-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მესაკუთრე, მოსარგებლე ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ვინაიდან, დღევანდელი მდგომარეობით, №01.19.36.001.496 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „იქს-სტილი+“ (ს/ნ: 406170361) და მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი სამსახურს მომართავს დამკვეთის ცვლილების მოთხოვნით, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიერ გამოცემულ 2023 წლის 29 სექტემბრის №6684526 ბრძანებაში ცვლილების შეტანას და დამკვეთად შპს „იქს-სტილი+“-ის (ს/ნ: 406170361) დაფიქსირებას.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს თანახმად,

ვბრძანებ:
1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 სექტემბრის №6684526 ბრძანებაში და დამკვეთად გია ბახურაულის, გია მაკაროვის, ვლადიმერ ბეკარაშვილის, ია მამისეიშვილის და ლია მამისეიშვილის ნაცვლად დაფიქსირდეს შპს „იქს-სტილი+“ (ს/ნ: 406170361).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 სექტემბრის №6684526 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 სექტემბრის №6684526 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.